ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3221558

ნომერი: AR1490684

თარიღი : 28.03.2017

გაცემის თარიღი : 24.04.2017

გაცნობის თარიღი : 24.04.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , გიორგი ბრწყინვალესა და ფარნავაზის ქუჩების გადაკვეთაზე;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნატალია მუმლაძე პ/ნ 01017054295
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 13/19

ორგანიზაცია:
- შპს"დემაქს დიღომი" კოდი: 405171610

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2016 წლის №3027355 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 28.03.2017 წლის №AR1490684 განაცხადი ამავე სამსახურის 30.12.2016 წლის №3027355 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილების თაობაზე.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 30.12.2016 წლის №3027355 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალესა და ფარნავაზის ქუჩების გადაკვეთაზე, შპს "მეგობრობა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.06.014.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებლი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს "მეგობრობა" (205182577).

წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 30.12.2016 წლის №3027355 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება და დამკვეთად-განმცხადებლად მიწის ნაკვეთის მესაკუთრის - შპს „დემაქს დიღომის“ დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა, II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

ვინაიდან, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების სტადიაზე, ნებართვის გამცემი ორგანო არ იკვლევს სამშენებლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით, ცვლილება შეიტანოს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ სამსახურის 30.12.2016 წლის №3027355 ბრძანებაში.

წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
